თინათინ ქაროსანიძე
თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი
t.karosanidze@freeuni.edu.ge

ჯამალ ად-დინ ალ-აფღანი
და თავისუფალი მასონები ეგვიპტეში

რეზიუმე

თავისუფალ მასონებს ახლო აღმოსავლეთში და მათ შორის ეგვიპტეში მდიდარი ისტორია აქვს, რომელიც მე-19 საუკუნეში დაიწყო. ევროპული გავლენით მასონური ლოჟები მალევე გახდა მიმზიდველი ადგილობრივი ელიტებისთვის და გავრცელდა სხვადასხვა ქვეყანაში.

ეგვიპტის პოლიტიკურ ცხოვრებაში თავისუფალ მასონთა გაერთიანება, რომელიც მუსლიმი რეფორმატორის, ჯამალ ად-დინ აფღანის, სახელს უკავშირდება, მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. სტატიაში განხილულია ეგვიპტეში მოქმედი მასონური ლოჟებისა და ჯამალ ად-დინ ალ-აფღანის პოლიტიკური საქმიანობა 1871-1879 წლებში. მუსლიმი მოაზროვნის საქმიანობის შესასწავლად გამოყენებულია პირველადი წყაროები, რომელიც ალ-აფღანის მოღვაწეობაზე იმ პერიოდში მოგვითხრობს, ბიოგრაფიული კვლევები ალ-აფღანის შესახებ და თავისუფალი მასონების შესახებ არსებული კვლევები.

საკვანძო სიტყვები: ალ-აფღანი, მასონები, ისლამი, ულამა, ეგვიპტე.

თავისუფალი მასონების საზოგადოება ახლო აღმოსავლეთში მე-18 საუკუნიდან აქტიურდება, რაც რეგიონში უშუალოდ ევროპის გავლენას უკავშირდება. ახლო აღმოსავლეთში სწორედ იმ ქვეყნებში გააქტიურდა მასონების საზოგადოებები, რომელსაც საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, იტალია, გერმანია მართავდა. თუნისი, ეგვიპტე თუ ალჟირი ის ისლამური ქვეყნებია, სადაც ფრანგული თუ ბრიტანული არსებობა მალევე საგრძნობი გახდა (Landau 1996, 188; Harland-Jacobs 2003, 448).

მასონების პირველი ლოჟა ახლო აღმოსავლეთში ოსმალეთის იმპერიაში, სტამბულში მე-18 საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში დაარსდა[1], რასაც მოყვა ასეთივე ლოჟების შექმნა იმპერიის სხვა ქალაქებშიც: 1738 წელს მასონთა ლოჟები დაარსდა ალეპოში, იზმირსა და კორფუში, 40-იან წლებში - ალექსანდრეტაში, მოგვიანებით კი - დამასკოში (Landau 1996, 188). მასონების ლოჟებში ძირითადად ამ ქვეყნებში მცხოვრები რელიგიური და ეთნიკური უმცირესობები: ბერძნები, სომხები, ქრისტიანები და იუდეველები ერთიანდებოდნენ (Cannon 1985, 466). მუსლიმებს რაც შეეხება, მუსლიმთა მხოლოდ მცირე რაოდენობა ხდებოდა ამ ლოჟების წევრი, უმრავლესობა კი მოკლებული იყო ამ შესაძლებლობას. ეს კი თავისთავად აგრესიას იწვევდა ადგილობრივ მუსლიმ მოსახლეობაში და ამ მასონური ლოჟების მიმართ მტრულად განაწყობდა. სწორედ ამიტომ თუ სხვა მოსაზრებების გამო, მასონურ ლოჟებს დიდი კრიტიკოსები გამოუჩნდა მუსლიმი მოაზროვნეების სახით. მასონთა ლოჟებში ძირითა-

[1] სტამბულში პირველი მასონური ლოჟის დამაარსებლად ითვლება აჰმეთ III ელჩი პარიზში, საით ჩელები.

დად მაღალი სოციალური ფენის წარმომადგენლები ერთიანდებოდნენ. დაბალ ფენებში კი შეთქმულების თეორიები არსებობდა. აქედან გამომდინარე, მრავლად გვხვდება მასონების საწინააღმდეგო თავდასხმების ამსახველი დოკუმენტები, სადაც მუსლიმი ავტორები (მაგ., ʿაბდ არ-რაჰმან სამი ʿისმათი; საბირ ʿაბდ ალ-რაჰმან თუʿაიმა) სიონიზმს ბრალს დებდნენ მასონური მოძრაობის აღზევებაში[2].

თავისუფალი მასონების საზოგადოება ეგვიპტეში მოგვიანებით ჩამოყალიბდა და ის ნაპოლეონის ლაშქრობებს უკავშირდება. 1798-1799 წლებში ნაპოლეონის გენერალმა კლებერმა კაიროში მასონთა პირველი ლოჟა დააარსა (Landau 1965, 139). ლოჟას სახელად „ისიდა“[3] უწოდეს და ლოზუნგად საფრანგეთის რევოლუციის დევიზი: „თავისუფლება, ძმობა, თანასწორობა“ (“Liberté, Fraternité, Égalité”) აიღეს (Raafat 1999). „ისიდას“ ლოჟამ სულ სამ წელს გასტანა და ნაპოლეონის ეგვიპტიდან წასვლის შემდეგ დაიშალა. თუმცა ფრანგებმა დატოვეს ის იდეოლოგია, რომელიც მოგვიანებით კვლავ გამოჩნდა ეგვიპტეში, როდესაც ეგვიპტის მმართველმა მუჰამად ალიმ ახალგაზრდები ევროპაში განათლების მისაღებად გაგზავნა. ევროპაში ჩასული ეგვიპტელები სხვადასხვა გაერთიანებების სიმრავლემ გააოცა. ისინი ნათლად ხედავდნენ, რომ კერძო პირების მიერ დაფუძნებული ასოციაციები ქვეყნის განვითარების ქვაკუთხედი გამხდარიყო. სწორედ აქედან გადაწყვიტეს, რომ მსგავსი ტიპის გაერთიანებები არაბული სამყაროს პროგრესსაც შეუწყობდა ხელს (Wissa 1989, 145).

1845 წელს კაიროში კიდევ ერთი ლოჟა „პირამიდები“ დაფუძნდა, რომელსაც უშუალოდ საფრანგეთის Grand Orient of France მართავდა (Wissa 1989, 146; Raafat 1999). „პირამიდებმა“ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ეგვიპტეში მასონური იდეოლოგიის გავრცელებაში. შესაბამისად, ეგვიპტეში მასონურმა იდეოლოგიამ მალევე დიდი პოპულარობა მოიპოვა.

მომდევნო წლებში ევროპულმა სახელმწიფოებმა ეგვიპტეში სხვადასხვა მასონური ლოჟები დააარსეს. 1867 წელს დაარსდა ინგლისის ლოჟის ფილიალი კაიროში, რომელიც ეგვიპტის და სუდანის რეგიონულ ლოჟად იწოდებოდა; ორი წლით ადრე, 1865 წელს საფრანგეთმა ალექსანდრიაში რეგიონული დიდი ლოჟა დააარსა (Wissa 1989, 146).

ეგვიპტეში მოღვაწე მასონური ლოჟის წევრებიდან მკვლევარები გამოყოფენ ოთხს: პრინცი ʿაბდ ალ-ჰალიმი, სალვატორე ავენტორე ზოლა[4], ჯამალ ად-დინ ალ-აფღანი, იდრის რაღები[5].

ჯამალ ად-დინ ალ-აფღანი ეგვიპტეს პირველად 1869 წელს სტუმრობდა, როდესაც ბომბეიდან სტამბულისკენ გზად ეგვიპტეში 40 დღის განმავლობაში გაჩერდა. ორი წლის შემდეგ, 1871 წლის მარტში ის კვლავ ჩამოვიდა ეგვიპტეში, როდესაც ალ-აზჰარის უნივერსიტეტში ფილოსოფიის სწავლება დაიწყო. ეგვიპტის ხელისუფლებამ ალ-აფღანის პენსიაც დაუნიშნა. ალ-აფღანის პოზიციამ ის მალევე დააპირისპირა ადგილობრივ ულემასთან და უნივერსიტეტიდან გაათავისუფლეს. ამის მიუხედავად, ალ-აფღანი აგრძელებდა საკუთარ საქმიანობას, რის გამოც 1879 წელს ეგვიპტიდან გააძევეს.

როგორც აღინიშნა, ჯამალ ად-დინ ალ-აფღანის საქმიანობა ეგვიპტეში XIX საუკუნის 80-იან წლებს უკავშირდება. ამ პერიოდში ეგვიპტეს ისმაილ ფაშა (1830-1895) მართავდა. ქვე-

---

[2] „ახალგაზრდა თურქები“ ხელს უწყობდნენ მასონური ლოჟების განვითარებას, თუმცა მუსტაფა ქემალმა 1935 წელს მათი საქმიანობა თურქეთის რესპუბლიკაში აკრძალა. მოგვიანებით, ასევე აიკრძალა მასონური ლოჟების საქმიანობა ერაყში, ეგვიპტესა და სირიაში (Landau 1996, 190).

[3] ისიდა - ძველი ეგვიპტური ღვთაება, ნაყოფიერების და სიცოცხლის ქალღმერთი, ოსირისის და და ცოლი.

[4] სალვატორე ზოლა (1873-?) - წარმოშობით იტალიელი იყო, რომელიც ალექსანდრიაში ჩავიდა XIX საუკუნის შუა პერიოდში და იქ წარმოადგინა იდეა „პირამიდების“ ლოჟის დაარსების შესახებ.

[5] იდრის რაღები (1899-1922) - კალიუბიას პროვინციის მმართველი და მასონთა ლოჟის დამფუძნებელი. ის 30 წლის განმავლობაში იყო კალიუბიას მასონთა ლოჟის დიდი მმართველი (Grand Master). ის ასევე ითვლება ეგვიპტეში ფაშისტური პარტიის „მისრ ალ-ფათათ“ („ეგვიპტელი ახალგაზრდები“) დამაარსებლად, სადაც მასონთა ლოჟის წევრები გაერთიანდნენ.

ყანა ეთიოპიასთან ომმა[6] დიდ ვალებში ჩააგდო და ევროპული გავლენის ქვეშ მოაქცია. სახელმწიფო ხაზინა ბანკროტად გამოცხადდა და კრედიტორმა ქვეყნებმა ფინანსურ სისტემაზე კონტროლი დაამყარეს. შესაბამისად, ევროპელები ეგვიპტის კაბინეტშიც გამოჩნდნენ.

ალ-აფღანის მასონურ საქმიანობაში ჩართვა სწორედ პოლიტიკურ მიზეზებს უკავშირდება. მისი მასონებთან კონტაქტის დამადასტურებელი რამდენიმე წყარო და დოკუმენტი არსებობს. მათ შორის პირველწყაროდ შეიძლება მივიჩნიოთ 1875 წლით დათარიღებული წერილი, რომელშიც ის ითხოვს კაიროს ერთ-ერთ ლოჟაში გაწევრიანებას. ლოჟის იდენტიფიცირება რთულია, რადგან წერილში არ არის ნახსენები ლოჟის სახელი და ასევე ალ-აფღანი, როგორც ცნობილია, რამდენიმე ლოჟის წევრი იყო ერთსა და იმავე დროს (Kudzi-Zadeh 1972, 27; Keddie 1966, 518). ასევე, არსებობს წერილები, რომელშიც ალ-აფღანის მასონთა სხვადასხვა ღონისძიებაზე იწვევენ. ასეთია, 1879 წლის 3 თებერვლის წერილი, რომელშიც ალ-აფღანის „კაიროში ბერძნული ლოჟის“ შეხვედრაზე იწვევენ. ასევე, მტკიცებულებას წარმოადგენს 1884 წელს პარიზიდან მიღებული წერილი, რომელიც ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ალ-აფღანი პარიზში ცხოვრებისას გაწევრიანებულა ერთ-ერთ ადგილობრივ გაერთიანებაში (Kudzi-Zadeh 1972, 27). ამ ფაქტების მიუხედავად, ზოგიერთი მკვლევარი საერთოდ უარყოფს ალ-აფღანის მასონური ლოჟის წევრობას (Mette 1989, 162).

ალ-აფღანის საქმიანობაზე მასონურ ლოჟებში ნაკლებად მოიპოვება ინფორმაცია, თუმცა ნათლად ჩანდა მისი მიზანი, რატომ ცდილობდა ამ ლოჟებში გაწევრიანებას. ჯამალ ად-დინ ალ-აფღანი თავიდან კაიროში მოქმედ მასონთა იტალიურ ლოჟაში გაერთიანდა, თუმცა მოგვიანებით ბრიტანული გავლენის ლოჟით „ქავქაბ ალ-შარკ“ („აღმოსავლეთის ვარსკვლავი“)[7] დაინტერესდა. 1875 წელს ალ-აფღანი „აღმოსავლეთის ვარსკვლავის“ ლოჟაში გაერთიანდა და სულ რაღაც სამ წელში ამ ლოჟის თავმჯდომარე გახდა. ლოჟა დაარსების დღიდან ინგლისის დიდი ლოჟის პატრონაჟით იმართებოდა, მაგრამ ალ-აფღანი ფიქრობდა, რომ მისი პოლიტიკური საქმიანობა და ისლამი რეფორმების ძალისხმევა უფრო ფრანგული ტიპის ლოჟის საქმიანობას ესადაგებოდა, სადაც მეტი იყო პოლიტიკური დისკუსიები. ალ-აფღანი პოლიტიკური აგიტაციით ცდილობდა ეგვიპტელთა გამოღვიძებას, თუმცა მას მიუთითეს, რომ ლოჟა არ წარმოადგენდა პოლიტიკური საქმიანობის პლატფორმას. ალ-აფღანისთვის კი მასონთა ლოჟა სწორედ რომ ტირანიის და ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალება იყო.

მოგვიანებით, ამ მასონური ლოჟის ბაზაზე, ჯამალ ად-დინ ალ-აფღანიმ პოლიტიკური გაერთიანება „ალ-ჰიზბ ალ-ვატანი ალ-ჰურრ“ („თავისუფალი ეროვნული პარტია“) ჩამოაყალიბა. ამ დაჯგუფებამ განსაკუთრებული როლი ითამაშა ისმაილ ფაშას გადაგდებასა და თავფიკ ფაშას გამეფებაში.

ალ-აფღანი ცდილობდა, მასონური ლოჟების ეგვიპტელი წევრები პოლიტიკურ საქმიანობაში ჩაერთო, რათა ეგვიპტე კრიზისიდან გამოეყვანათ. მასონური ლოჟები ახლო აღმოსავლეთში რადგანაც არ გამოირჩეოდა პოლიტიკური აქტიურობით, ალ-აფღანის მცდელობებს ლოჟების წევრები დაუპირისპირდნენ, რადგან უფრთხოდნენ ხელისუფლებისგან რეპრესიებს. ასეთი დამოუკიდებულება მოულოდნელი აღმოჩნდა ალ-აფღანისთვის, რომელმაც მასონური ლოჟების წევრები ეგოიზმში დადანაშაულა. საბოლოოდ, იგი ლოჟიდან გარიცხეს, თუმცა უცნობია, რომელი ლოჟებიდან გაირიცხა და რა დროს. მას შემდეგ, რაც ალ-აფღანი მიხვდა, რომ თავისუფალი მასონების მოძრაობასთან ერთად ვერ განახორციელებდა მის პოლიტიკურ მიზნებს, მან საკუთარი ხელმძღვანელობით ახალი „ეროვნული ლოჟა“ ჩამოაყალიბა. ამ ლოჟაში, რომელიც ფრანგული Grand Orient-თან აფილირდა, გაერთიანდნენ ეგვიპტის არმიის ოფიცრები, პარლამენტის წევრები, ულამა, ჟურნალისტები, ინტელექტუალები.

---

[6] ეგვიპტე-ეთიოპიის ომი 1874-1876 წლებში მიმდინარეობდა ეთიოპიის იმპერიასა და ოსმალეთის იმპერიაში შემავალ ეგვიპტეს შორის. ომი ეთიოპიის გამარჯვებით დასრულდა. ეგვიპტის მარცხმა ქვეყანა დიდ ვალებში ჩააგდო და ასევე შეაფერხა მისი აფრიკული მისწრაფებები. ამასთანავე, ეგვიპტის მარცხმა საშუალება მისცა დიდ ბრიტანეთს, ეგვიპტეზე პროტექტორატი დაემყარებინა.

[7] ლოჟა № 1355.

ალ-აფღანის მიერ დაარსებული ახალი ლოჟის პოლიტიკური აქტიურობის შესახებ ეგვიპტის მმართველმა ისმაილ ფაშამ გაიგო. ისმაილ ფაშას ჩამოგდების თუ სავარაუდო მოკვლის გეგმების შესახებ წერდა მუჰამად აბდუ[8], ალ-აფღანის ლოჟის წევრი, მისი მოსწავლე და ცნობილი ეგვიპტელი მოაზროვნე. ალ-აფღანის გეგმით, ისმაილ ფაშაზე თავდასხმა უნდა განეხორციელებინათ კასრ ალ-ნილის ხიდზე, სადაც იგი ყოველ დღე გადადგილდებოდა. თუმცა, აბდუვე აღნიშნავდა, რომ ეს გეგმები კერძო საუბრებს არ გაცდენია. ალ-აფგანის ასევე აბრალებდნენ ხედივთა დინასტიის მორიგი მმართველის თავფიკის წინააღმდეგ გადატრიალების მოწყობას, თუმცა ეს ჭორები ალ-აფღანიმვე უარყო წერილში, რომელიც 1883 წლით თარიღდება და რომელშიც ალ-აფღანი ამ ჭორების გავრცელებაში კაიროს პოლიციის უფროსს უსმან ფაშას ადანაშაულებდა (Kudsi-Zadeh 1972, 32). ალ-აფღანი რიად ფაშას წერდა, რომ უცხო ქვეყნის მასონები და მათი მიმდევრები ʿაბდ ალ-ჰალიმის მეთაურობით, როდესაც ის კაიროში მასონური ლოჟის პრეზიდენტი იყო, ცდილობდნენ ალ-ჰალიმის[9] ხელისუფლებაში მოსვლას, რის გამოც ალ-აფღანიმ ეს ლოჟა დატოვა. ეს წერილი დასტურია იმისა, რომ ალ-აფღანიმ მასონთა ლოჟა მეორედ დატოვა, თუმცა ამის მიუხედავად, თავფიკის გადაწყვეტილებით, ის ეგვიპტიდან გააძევეს (Keddie 1976, 103).

1879 წლის 24 აგვისტოს ჯამალ ად-დინ ალ-აფღანი პოლიციამ დააპატიმრა და ინდოეთისკენ მიმავალი გემით ქვეყნიდან გააძევა, რამდენიმე დღის შემდეგ კაიროში გამომავალ გაზეთში „ალ-ვაკა'იʿ ალ-მისრია" („ეგვიპტის ამბები"), რომელშიც მთავრობის განცხადება გამოქვეყნდა, ხელისუფლება ამტკიცებდა, რომ ალ-აფღანის ბრალი ედებოდა საიდუმლო ორგანიზაციის ძალადობრივ მმართველობაში რელიგიის და მსოფლიოს განადგურებაში (Kudsi-Zadeh 1972, 34).

ეგვიპტიდან გაძევების შემდეგ ალ-აფღანის არ შეუწყვეტია პოლიტიკური აგიტაცია. ის მალევე საფრანგეთში გადავიდა, სადაც ეგვიპტიდან გაქცეულებს ხვდებოდა და მათთან ერთად მსჯელობდა ეგვიპტიდან დიდი ბრიტანეთის გამოძევების პოლიტიკურ გზებზე.

როგორც ალ-აფღანის საქმიანობიდან გამოჩნდა, მისი მასონურ ლოჟებში გაწევრება პოლიტიკურ მიზანს უკავშირდებოდა. ალ-აფღანიმ დაინახა რა, რომ ეგვიპტე უცხოური ინტერვენციების სამიზნე გახდა და ფინანსური კრიზისი ქვეყანაში გაიზარდა, მიხვდა, რომ რამე უნდა გაეკეთებინა და ამიტომ გადაწყვიტა იმ მასონურ ლოჟებში გაერთიანება, რომელშიც ამ ქვეყნის ელიტა და ინტელექტუალური ნაწილი ასევე გაერთიანდა. ალ-აფღანის პოლიტიკური საქმიანობა დაემთხვა ეგვიპტეში არაბული ნაციონალური მოძრაობის აღმოცენებას და „ალ-ჰიზბ ალ-ვატანის" („ეროვნული პარტია") დაარსებას. ქონდა თუ არა ალ-აფღანის უშუალო კავშირი ამ პარტიასთან, დადასტურებული არ არის. თუმცა, არსებობს წყაროები, რომ ალ-აფღანის მასონური ლოჟის წევრები გაერთიანდნენ ამ პარტიაში.[10] როგორც მუჰამად აბდუ ამტკიცებდა, ალ-აფღანი მასონურ ლოჟებში პოლიტიკური და სოციალური მიზნების გამო გაერთიანდა. შესაბამისად, მისთვის მასონური ლოჟები არ წარმოადგენდა საიდუმლო რელიგიურ დაჯგუფებებს, სადაც სხვადასხვა რიტუალების შესასრულებლად იკრიბებოდნენ ადამიანები. არამედ მისთვის მასონური ლოჟები კარგი პლატფორმა აღმოჩნდა საკუთარი პოლიტიკური მიზნების განსახორციელებლად.

---

[8] მუჰამად აბდუ (1849-1905) - ეგვიპტელი მუსლიმი მეცნიერი, მოსამართლე და მთავარი მუფთი. ის იყო არაბული ნაჰდას და ისლამური მოდერნიზმის მოძრაობის აქტიური წევრი მე-19 საუკუნეში ეგვიპტეში.

[9] მუჰამად ʿაბდ ალ-ჰალიმ ფაშა იყო ეგვიპტის მმართველის, მუაჰამად ალის ვაჟი, რომელიც 1867 წელს Grand Orinet of East დიდ მოძღვრად (Grand Master) აირჩიეს. სწორედ მუჰამად ʿაბდ ალ-ჰალიმ ფაშა გახდა ალ-აფღანის „მოკავშირე" ხედივთა დინასტიის წინააღმდეგ საქმიანობაში (Wissa 1989, 147-148).

[10] ლატიფ სალიმი და სა'იდ ნასრი ის ოფიცრებია, რომლებიც ეროვნულ პარტიაში გაწევრიანდნენ.

გამოყენებული ლიტერატურა:

Cannon, D. Byron. 1985. "Nineteenth-Century Arabic Writings on Women and Society: The Interim Role of Masonic Press in Cairo – (Al-Lataif 1885-1895)." *International Journal of Middle East Studies* 17, no. 4 (November): 463-484.

Harland-Jacobs, Jessica. 2003. "All in the Family: Freemasonry and the British Empire in the Mid-Nineteenth Century." *Journal in British Studies* (Cambridge University Press) 42, no. 4 (October): 448-482.

Keddie, Nikki, R. 1976. "Culture Traits, Fantasy, and Reality in the Life of Sayyid Jamal Al-Din Al-Afghani." *Iranian Studies* (International Society of Iranian Studies) 9, no. 2/3: 89-120.

Keddie, Nikki, R. 1966. "Sayyid Jamal al-Din al-Afghani's First Twenty-seven Years: The Darkest Period." *Middle East Journal* (Middle East Institute) 20, no. 4: 517-533.

Kudzi-Zadeh, Albert A. 1972. "Afghani and Freemasonry in Egypt." *Journal of the American Oriental Society* 92, no. 1: 25-35.

Landau, M. Jacob. 1996. "Muslimi Opposition to Freemasonry." *Die Welt des Islams* (Brill) 36, no. 2 (July): 186-203.

Landau, M. Jacob. 1965. "Prolegomena to a Study of Secret Societies in Modern Egypt." *Middle Eastern Studies* 1, no. 2 (January): 135-186.

Mette, Rudi. 1989. "Jamal Al-Din al-Afghani and the Egyptian National Debate." *International Journal of the Middle East Studies* (Cambridge University Press) 21, no. 2 (May): 151-169.

Raafat, Samir. 1999. "Freemasonry in Egypt: Is It Still Around?" *Insight Magazine* (March 1). http://www.egy.com/community/99-03-01.php.

Wissa, Karim. 1989. "Free Masonry in Egypt 1798-1921: A Study in Cultural and Political Encounters." *Bulletin, British Society for Middle Eastern Studies* (Taylor & Francis, Ltd.) 16, no. 2: 143-161.